



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 15 ოქტომბერი 2018 წელი

დრო: 13:00 -15:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“ თბილისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
4. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
5. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. ნუგზარ კობრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. ნინო ხუბუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

განსახილველი საკითხები:

- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური რიგით მე-10 შეხვედრა
- ✓ სექტორალური შეხვედრების ფორმატის განახლება
- ✓ გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადის განხილვა
- ✓ საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლობის ჩამოყალიბება აჭარის რეგიონში
- ✓ სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათია კუპრაშვილმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის თანათავმჯდომარემ, ქალბატონმა ალექსანდრა კალატოზიშვილმა ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური რიგით მე-10 შეხვედრის შესახებ. მან დეტალურად მიაწოდა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ის ინფორმაციები, რომლებიც ეხება ფორუმისთვის მზადების დეტალებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ფორუმის ტექნიკურ უზრუნველყოფიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ქალბატონმა ალექსანდრამ დეტალურად ისაუბრა ფორუმზე დელეგატების შერჩევის წესის შესახებ და დეტალურად ახსნა შერჩევის ის სამი დონე, რომელიც გამოყენებული იქნა ფორუმის დელეგატების შესარჩევად. მმართველმა კომიტეტმა შეიმუშავა დელეგატების არჩევის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მეტად დაბალანსებულ წარმომადგენლობებს და ჯგუფებში დელეგატების რაოდენობების სამართლიანად გადანაწილებას.

ფორუმის თანათავმჯდომარემ ასევე ისაუბრა იმ შიდა რეფორმაზე რომელიც გატარდა და გვთავაზობს გაუმჯობესებულ შიდა სტრუქტურას. აღნიშნული რეფორმით ფორუმი გადადის ორ წლიან ციკლზე, შესაბამისად ფორუმის წევრები შეირჩევიან 2 წლის ვადით, თუმცა ფორუმის ჩატარება ისევ ყოველ წელს იგეგმება. ასევე არის კიდევ ერთი დადებითი სიახლე, რომელიც გულისხმობს პლატფორმის ყველა წევრისთვის ფორუმის წევრის სტატუსის მინიჭებას, რაც დაკავშირებულია და საშუალებას იძლევა პლატფორმის წევრებისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს რიგი საკითხები.

ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა ისაუბრა ფორუმის ჩატარების შესახებ მთავრობასთან და პარლამენტთან დაწყებულ მოლაპარაკებებზე, რომელიც შეეხება ფორუმის წევრების და ფორუმის მაღალი რანგის სტუმრებისთვის, რომლებიც ესტუმრებიან საქართველოს, მიღებისა და ღონისძიების გახსნის ცერემონიის ჩატარებისთვის შესაბამისი სივრცეების გამოყოფას. ასევე ბატონმა ლაშამ ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე როგორცაა სექტორალური შეხვედრების გამართვის საკითხები. ამ თემაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა უკვე მიაწოდეს სამდივნოს იმ თემების სია, რომლებზეც სურთ საუბარი შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს წარმომადგენლებთან, თუმცა ეს სია საბოლოო არ არის და კვლავ მიმდინარეობს საკითხების შემუშავება.

იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ 2018 წლის ფორუმი საქართველოში ტარდება, ქართულმა მხარემ რომელსაც წარმოადგენენ ეროვნული კოორდინატორი ბატონი ლაშა ტულუში და ქალბატონი ალექსანდრა კალატოზიშვილი, შეძლეს დამატებითი სტუმრების მოწვევა პლატფორმის წევრი ორგანიზაციებიდან, რომლებიც დაესწრებიან აღნიშნულ შეხვედრას, თუმცა მათ არ ექნებათ ხმის უფლება. დამატებითი სტუმრების რაოდენობა განისაზღვრა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ და დასაშვებად იქნა 30 სტუმრის დამატება. საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა 30 კაციანი სიის შედგენის საკითხზე და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება შერჩევის შემდეგ წესზე: დამატებითი 30 კაციანი სიიდან 80% შეირჩევა ეროვნულ დონეზე მიღებული ხმების რაოდენობით შესაბამის

ჯგუფებში, ხოლო დარჩენილი 20% სიაში მოხვდება თავიანთი გამოცდილებისა და აქტივობების შედეგად, საკოორდინაციო საბჭოს მსჯელობით.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და წინასაარჩევნო პროცესები აქტიურ ფაზაშია გადასული, ამიტომ საკოორდინაციო საბჭომ დამატებით საკითხებში, პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმსჯელა საარჩევნო ქვეჯგუფის ფუნქციონირების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება რომ არჩევნების პერიოდში საარჩევნო ქვეჯგუფის კოორდინატორის ფუნქციებს შეითავსებს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მმართველი კომიტეტის ყველა წარმოდგენილი წევრი დაეთანხმა.

ეროვნულმა პლატფორმამ მიიღო გაწევრიანების მსურველი ორი ორგანიზაციის სააპლიკაციო ფორმა და პლატფორმაში გაწევრიანებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციები. საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა წევრების მიღების საკითხზე და პლატფორმაში გაწევრიანების საკითხი მხოლოდ ერთ ორგანიზაციას დაუკმაყოფილა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე